თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №210
2013 წლის 17 დეკემბერი

ქ. რუსთავი

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №8 დადგენილების (ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები, 13.07.2010 წ.) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში – 'თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის დებულება' შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2. მერიის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) მერიის ადმინისტრაცია;

ბ) ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური;

გ) საფინანსო სამსახური;

დ) შესყიდვების სამსახური;

ე) სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის და დასაქმების საკითხთა სამსახური;

ვ) კულტურის სამსახური;

ზ) ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახური;

თ) ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური;

ი) ზედამხედველობის სამსახური;

კ) ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახური;

ლ) სახანძრო დაცვის სამსახური;

მ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

ნ) პრესსამსახური;

ო) ეკონომიკური განვითარების სამსახური"

2. მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ქონების მართვის უზრუნველყოფა და კანონიერი მოსარგებლეებისათვის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.“

მუხლი 2
დადგენილება ძალაშია 2014 წლის 3 იანვრიდან.

რუსთავის საკრებულოს
თავმჯდომარე **კახა გურგენიძე**